

(212677520) შპს „უნივერსალი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „უნივერსალი“
ს/კ 212 677 520
ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის,
რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი.....	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	12
3.1 ვალუტა.....	12
3.2 ძირითადი საშუალებები.....	12
3.3 მოგების გადასახადი.....	14
3.4 მარაგები	15
3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან.....	16
3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	16
3.7 ფული და ფულის ექვივალენტები	16
3.8 კაპიტალი	17
3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	17
3.10 სასესხო ვალდებულებები.....	17
3.11 ამონაგების აღიარება.....	18
3.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები	19
3.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	19
3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	19
3.15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	20
5. ფული და ფულის ექვივალენტები	20

6.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
7.გადახდილი ავანსები.....	21
8. მარაგები	21
9. ძირითადი საშუალებები.....	22
10. სხვა გრძელვადიანი აქტივები.....	22
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	23
12.დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება.....	23
13. სასესხო ვალდებულებები.....	23
14. საგადასახადო ვალდებულებები	24
15.სხვა ვალდებულებები	24
16.საკუთარი კაპიტალი	25
17.შემოსავლები	25
18. ხარჯები	25
19. პირობითი ვალდებულებები.....	26
20. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	28
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	28
22. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	29
23. ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ	31

შინაარსი:

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „უნივერსალი“ დაფუძნებულია და საგადასახადო ინსპექციის მიერ სამეწარმეო რეესტრში გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 1996 წლის 17 იანვარს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 212677520 .

კომპანიის პარტნიორები არიან შემდეგი პირები:

თამაზ ჯანელიძე, (პ/ნ 60001004424) - 34 %;

კახაბერ ჯანელიძე, (პ/ნ 60001007557) - 33 %;

ლაშა ჯანელიძე, (პ/ნ 60001011304) – 33%.

კომპანიას თავის მხრივ არ ყავს შვილობილი საწარმოები.

შპს „უნივერსალი“-ს იურიდიული მისამართია საქართველო, ბუხაიდის ქ. №23.

კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა უპირატესად საკვები პროდუქტებით, სადისტრიბუციო წესით საბითუმო ვაჭრობა, საკუთარი ქონების იჯარის წესით გაქირავება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი თამაზ ჯანელიძე, (პ/ნ 60001004424).

შპს „უნივერსალმა“ 1991 წლიდან ანუ დაფუძნების დღიდან, საქმიანობა დაიწყო რა ნულიდან, გაიარა მთელი რიგი ეტაპები და განახორციელა არაერთი წარმატებული პროექტები, კერძოდ მისმა დამფუძნებლებმა იმ დროისთვის არსებული სამკაციანი ორგანიზაცია ჩამოაყალიბა მრავალ ათეულ კაციან მუდმივად მზარდ სტაბილურ კოლექტივად.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი საწყის ეტაპზე შეადგენდა 3500 ლარს, ხოლო მომდევნო წლებში განხორციელებული თანმიმდევრული და გეგმაზომიერი პროექტების შედეგად შეძენილი იქნა ქონება ბუხაიდის N23-ში, ბუკიას N6-ში, კუპრაძის N59-ში, ჯავახიშვილის N63-ში, ჯავახიშვილის N83-ში და ჯავახიშვილის N81-ში. ამავე პერიოდში შეძენილია მანქანა-დანადგარები, მექანიზმები, სამაცივრე დანადგარები.

2017 წლამდე კომპანიაში დასაქმებული იყო 50-მდე ადამიანი, იმდენივე მუშაობდა იმ დროისათვის ჩვენს მიერ იჯარით გაცემულ ობიექტებში. მომსახურე პერსონალის დიდ ნაწილს გააჩნდა კომპანიაში მუშაობის 10, 15 და 25 წლიანი მუშაობის სტაჟი.

განვლილი პერიოდის მანძილზე კომპანიამ შექმნა საცალო სავაჭრო ობიექტები, სანაპიროს ლუდისა და კაფე-ბარების ქსელი, სადისტრიბუციო სამსახური.

კომპანიის განვლილი საქმიანობა შეფასებული და დაჯილდოვებული იქნა არა-ერთჯერ სხვადასხვა ორგანოების მიერ.

კერძოდ:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შედგენილი საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ოფიციალური შედეგების შესაბამისად საქართველოსა და საერთაშორისო ბიზნეს რეიტინგების კავშირის წლიური რანჟირების შედეგების მიხედვით შპს „უნივერსალი“ ბოლო სამი წლის მანძილზე ტოპ ლიდერების რიცხვშია და დაკავებული აქვს მაღალი პოზიციები. კერძოდ

„რეიტინგი ოქრო“ - საქართველოს საწარმოების შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით „დაქირავებულთა რაოდენობა“.

„რეიტინგი ოქრო“ - იმერეთის საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით „დასაქმებულთა რაოდენობა“.

კომპანია 2016 წლის 30 ნოემბერს მიწვეული იყო ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის მონაწილე ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი) ეკონომიკის ლიდერების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიის ჩაწერაზე „ეკა ხოფერიას თოქ-შოუს“ საშობაო გადაცემაში, რომელიც ეთერში გავა 2017 წლის 4 იანვარს.

ჩამოთვლილი 7 ქვეყნიდან 2,6 მილიონზე მეტი რანჟირებულ საწარმოდან ბოლო 12 წლის მანძილზე დაჯილდოებულ 17371 საწარმოს შორის მართვის წარმატებული სტრატეგიების, მოქნილი ტაქტიკისა, ბიზნეს-ამოცანების ეფექტური გადაწყვეტის და დასახული მიზნებისაკენ შეუწელებელი სწრაფვის საქმეში მოწინავე პოზიციები უჭირავს შპს „უნივერსალს“.

შპს „უნივერსალს“ და მის თანამშრომლებს მიღებული აქვთ შემდეგი ჯილდოები:

2014 წლის შედეგების მიხედვით



- შპს „უნივერსალს“ მიენიჭა „2015 წლის დარგის ლიდერის“ სტატუსი და გადაეცა „2015 წლის დარგის ლიდერის“ წოდების დამადასტურებელი ოქროთი დაფერილი სამახსოვრო კედლის მედალი.

- შპს „უნივერსალს“ გადაეცა ეროვნული სერტიფიკატი რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს სამეურნეო საქმიანობის სუბიექტთა სრული ჩამონათვალის რანჟირების

(212677520) შპს „უნივერსალი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



შედეგად ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების თანახმად საწარმოს მიენიჭა საპატიო წოდება „დარგის ლიდერი 2015“

○ ოქროს რეიტინგი იმერეთის საწარმოთა შორის ეკონომიკური საქმიანობისათვის ექვსი ნომინაციის შედეგებით: „ბრუნვა“ „მოგება-ზარალი“ „დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება“ „პერსონალის ხარჯები“ „თანამშრომელთა რაოდენობა“ სერტიფიკატს ხელს აწერენ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საერთაშორისო კავშირისა და საქართველოს კავშირის პრეზიდენტები.



ვარსკვლავი“



• შპს „უნივერსალის“ კომერციულ დირექტორს კახაბერ ჯანელიძეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილის აღიარების დამადასტურებლად გადაეცა პერსონალური სახელობითი ორდენი „ეკონომიკის



• შპს „უნივერსალის“ ფინანსურ დირექტორს მაკა მინაძეს გადაეცა „ეროვნული სერტიფიკატი“ ნომინაციაში „წლის სპეციალისტი 2015“ სახელმწიფო კეთილდღეობისათვის მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისათვის, პირადი წვლილისათვის შრომის მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში, ამოცანების გადაჭრის დროს გამოჩენილი რაციონალური მიდგომისა და პროფესიონალიზმისათვის.

სერტიფიკატს ხელს აწერენ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საერთაშორისო კავშირისა და საქართველოს კავშირის პრეზიდენტები.




• შპს „უნივერსალის“ გაყიდვების კონსულტანტს ციური პატარიძეს, რომელიც დღიდან კომპანიის დაარსების ანუ 25 წელია მუშაობს კომპანიაში, გადაეცა სამკერდე სახელობითი მედალი „პროფესიული დამსახურებისათვის“.

2015 წლის შედეგების მიხედვით:



- შპს „უნივერსალს“ მიენიჭა „2016 წლის დარგის ლიდერის“ სტატუსი და გადაეცა „2015 წლის დარგის ლიდერის“ წოდების დამადასტურებელი ოქროთი დაფერილი სამახსოვრო კედლის მედალი.



- შპს „უნივერსალს“ გადაეცა ეროვნული სერტიფიკატი რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს სამეურნეო საქმიანობის სუბიექტთა სრული ჩამონათვალის რანჟირების შედეგად ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების თანახმად საწარმოს მიენიჭა საპატიო წოდება „დარგის ლიდერი 2015“

○ ოქროს რეიტინგი იმერეთის საწარმოთა შორის ეკონომიკური საქმიანობისათვის ექვსი ნომინაციის შედეგებით: „ბრუნვა“ „მოგება-ზარალი“ „დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება“ „პერსონალის ხარჯები“ „თანამშრომელთა რაოდენობა“ სერტიფიკატს ხელს აწერენ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების საერთაშორისო კავშირისა და საქართველოს კავშირის პრეზიდენტები.



- შპს „უნივერსალის“ დირექტორს თამაზ ჯანელიძეს გადაეცა „საერთაშორისო სერთიფიკატი“ ნომინაციაში „წლის ხელმძღვანელი 2016“ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, შრომის მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში, კომპანიის მართვაში გამოჩენილი პროფესიონალიზმისათვის.


სერთიფიკატს ხელს აწერს საერთაშორისო ბიზნეს-რეიტინგების კავშირის პრეზიდენტი.



- შპს „უნივერსალის“ კომერციულ დირექტორს კახაბერ ჯანელიძეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილის აღიარების დამადასტურებლად გადაეცა

პერსონალური სახელობითი ორდენი „ეკონომიკის ვარსკვლავი“

(212677520) შპს „უნივერსალი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



- შპს „უნივერსალის“ ფინანსურ დირექტორს მაკა მინაძეს გადაეცა „ეროვნული სერთიფიკატი“ ნომინაციაში „წლის ფინანსისტი 2016“ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის ფინანსურ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისა და გამოჩენილი პროფესიონალიზმისათვის, შრომის მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში შეტანილი პირადი წვლილისათვის.



- შპს „უნივერსალის“ კაფე-ბარების მენეჯერს ვიტალი მაღლაკელიძეს გადაეცა „ეროვნული სერთიფიკატი 2016“ ნომინაციაში „წლის სპეციალისტი 2016“ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისათვის, გამოჩენილი პროფესიონალიზმისათვის.



- შპს „უნივერსალის“ სადისტრიბუციო სამსახურის მენეჯერს ვაჟა გიორგაძეს, რომელიც 15 წელია მუშაობს კომპანიაში, გადაეცა სამკერდე სახელობითი მედალი „პროფესიული დამსახურებისათვის“.




- შპს „უნივერსალს“ გადაეცა „მადლობის სიგელი“ ნომინაციაში „წლის ბიზნესი 2015“ ქუთაისში ბიზნესის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. სიგელს ხელს აწერს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

2015 წლის შედეგების მიხედვით საერთაშორისო ინტერნაციონალური

ბიზნეს რეიტინგების კავშირისგან.



- შპს „უნივერსალს“ მიენიჭა „2016 წლის დარგის ლიდერის“ საერთაშორისო სტატუსი და გადაეცა „2016 წლის დარგის ლიდერის“ საერთაშორისო წოდების დამადასტურებელი ოქროთი დაფარული სამახსოვრო კედლის მედალი.



- შპს „უნივერსალს“ გადაეცა საერთაშორისო სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ კომპანიას მიენიჭა საპატიო წოდება „საერთაშორისო დარგის ლიდერი 2016“.


ოქროს რეიტინგი საქართველოს საწარმოთა შორის ეკონომიკური საქმიანობისათვის ექვსი ნომინაციის შედეგებით: „ბრუნვა“ „მოგება-ზარალი“ „დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება“ „პერსონალის ხარჯები“ „თანამშრომელთა რაოდენობა“.

სერთიფიკატს ხელს აწერს საერთაშორისო ბიზნეს-რეიტინგების კავშირის პრეზიდენტი.



- შპს „უნივერსალის“ კომერციულ დირექტორს კახაბერ ჯანელიძეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილის აღიარების დამადასტურებლად გადაეცა

პერსონალური სახელობითი საერთაშორისო ორდენი „ეკონომიკის ვარსკვლავი“



- შპს „უნივერსალის“ ფინანსურ დირექტორს მაკა მინაძეს გადაეცა „ეროვნული სერთიფიკატი“ ნომინაციაში „წლის ფინანსისტი 2016“ ქვეყნის კეთილდღეობისათვის ფინანსურ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისა და გამოჩენილი პროფესიონალიზმისათვის.

სერთიფიკატს ხელს აწერს საერთაშორისო ბიზნეს-რეიტინგების კავშირის პრეზიდენტი.

- შპს „უნივერსალის“ ავტოსერვისის „TJ მოტორსი“-ს დირექტორს დათო ნაჭყებიას გადაეცა „საერთაშორისო სერთიფიკატი“ ნომინაციაში „წლის ხელმძღვანელი 2016“ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და გამოჩენილი პროფესიონალიზმისათვის.

სერთიფიკატს ხელს აწერს საერთაშორისო ბიზნეს-რეიტინგების კავშირის პრეზიდენტი.



- შპს „უნივერსალის“ ავტოსერვისის „TJ მოტორსი“-ს სათუნუქე-სამღებრო სამსახურის მენეჯერს ჯონი ჟორჟოლიანს გადაეცა „საერთაშორისო ინტერნაციონალური სერთიფიკატი“ ნომინაციაში „წლის სპეციალისტი 2016“ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისათვის, გამოჩენილი პროფესიონალიზმისათვის.



- შპს „უნივერსალის“ ავტოსერვისის „TJ მოტორსი“-ს სათუნუქე-სამღებრო სამსახურის მენეჯერს ჯონი ჟორჟოლიანს გადაეცა სამკერდე სახელობითი მედალი „პროფესიული დამსახურებისათვის“



- შპს „უნივერსალის“ საცალო ვაჭრობის ქსელის მენეჯერს პირიმზე შათირიშვილს, რომელიც დღიდან დაარსებისა ანუ 25 წელია მუშაობს კომპანიაში გადაეცა „ინტერნაციონალური სერთიფიკატი 2016“ ნომინაციაში „წლის სპეციალისტი 2016“ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისათვის, გამოჩენილი პროფესიონალიზმისათვის.

სერთიფიკატს ხელს აწერს საერთაშორისო ბიზნეს-რეიტინგების კავშირის პრეზიდენტი.

ზემოთ აღნიშნული წარმატებების ფონზე საქმიანობაში გვაქვს პრობლემები, შეფერხებები და საქმიანობის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე შეცდომებიც.

კერძოდ სერიოზული პრობლემები შეგვექმნა ბოლო სამი წლის მანძილზე ბანკის მომსახურების საქმეში, რაც ძირითადად განპირობებულია ლარის დოლართან მიმართებაში სწრაფ ვარდნას და კატასტროფულ ინფლაციაში.. სერიოზული ფინანსური დარტყმა მივიღეთ იმის გამო, რომ გაცვლითი კურსი 1,65-დან 2,80-მდეც კი მივიდა, ანუ საბანკო მომსახურება გაგვიძვირდა თითქმის 60%-მდე, ხოლო ჩვენი მომსახურება ფაქტიურად ვერ გავზარდეთ ან ზოგიერთ მიმართულებაში გაიზარდა ძალიან მიზეზრულად.

იმის გამო, რომ 2016წლიდან ბაზარზე თითქმის შტურმით შემოვიდა რამოდენიმე ქსელური მარკეტი დეილის, მაგნიტის, ორი ნაბიჯისა და სხვათა სახით და შედეგად ცალკეულ მარკეტები ვეღარ უძლებდნენ მაღალ კონკურენციას იძულებული გავხდით ამ ხნის მანძილზე

რუდუნებით შექმნილი კოლექტივი დაგვეთხოვა და ობიექტი იჯარით გადაგვეცა ქსელური მარკეტებისათვის.

დღეისათვის ყველა მარკეტი და ავტოსერვისის ობიექტები იჯარით გადაცემულია სხვადასხვა კომპანიასა და ინდივიდუალურ მეწარმეებზე.

შპს „უნივერსალი“-ს

დირექტორი

თამაზ ჯანელიძე

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა” ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში, ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მონაცემები დამრგვალებულია 1 ლარამდე სიზუსტით.

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ჯგუფი	წლიური ცვეთის განაკვეთი (%)
<i>შენობა-ნაგებობა</i>	<i>5</i>
<i>მანქანა-დანადგარები</i>	<i>20</i>
<i>სატრანსპორტო საშუალებები</i>	<i>20</i>
<i>ავეჯი და ოფისის მოწყობილობა</i>	<i>20</i>
<i>სხვა აქტივები გამოყენების ვადის მიხედვით</i>	

პერიოდული მეთოდით ცვეთის დარიცხვისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე;
- ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვთის ნორმა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვთა შესწორდება პერსპექტიულად.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი (ესტონური მოდელი), რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიათი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

- დივიდენდის განაწილება;
- სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
- წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც:

- ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;
- გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები:

- ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები;
- მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად;
- ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები;
- გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი

მომველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა.

3.5 მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან

რეალიზაცია ხორციელდება როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით. მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულის სახსრებს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით და მოვემულ საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 50100 ლარს (ორმოცდაათი ათას ასი ლარი), რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. დივიდენდების გატანისას გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.

3.9 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.10 სასესხო ვალდებულებები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევაში თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა და ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით

უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველანაირი საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

3.11 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობების, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების გამოკლებით.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეალიზაციასთან დაკავშირებული, დაბრუნებადი გადასახადების გარეშე.

3.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგება წარმოებაზე გაწეული ხარჯებისაგან (ნედლეული და მასალები, შრომის ანაზღაურება და სხვა), ხარჯები (ნედლეული და მასალები), რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული, თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში).

3.15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	81638	73730
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1106	3634
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	27
	82744	77391

6.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	360107	260676
მოთხოვნები გაცემული სესხ(ებ)იდან	0	1700
-	<u>360107</u>	<u>262376</u>

7.გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
გადახდილი ავანსები	0	425
-	<u>0</u>	<u>425</u>

8. მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
მზა პროდუქცია		

ნედლეული და მასალები

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	13640	15400
	<u>92842</u>	<u>187692</u>

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენობა ნაგებობა	სხვა ძირითადი საშუალება	დაუმთავრებელი მშენებლობა	მიწა	სულ
01.01.2018	1555219	281656	45451	367788	2250114
შემოსვლა	27523				27523
გასვლა					0
31.12.2018			45451	367788	413239
დაგროვილი ცვეთა	-355339	-239815			-595154
01.01.2018					0
პერიოდის ცვეთა	-71627	-20403			-92030
გასვლა					0
31.12.2018					0
წმინდა საბალანსო ღირებულება					0
01.01.2018	1199880	41841	45451	367788	1654960
31.12.2018	1155776	21438	45451	367788	1590453

10. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
	0	0

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
მოწ და მომსახ წარმოქმნილი ვალდებულებები	259 544	230 503
-	<u>259 544</u>	<u>230 503</u>

12. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრის და არც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
	0	0

13. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
სასესხო ვალდებულებები	1 149 924	1 267 544
	1 149 924	1 267 544

14. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
საგადასახადო ვალდებულებები	7 404	-1 442
	7 404	-1 442

15. სხვა ვალდებულებები

სხვა სასესხო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
სხვა ვალდებულებები	0	10 000
	0	10 000

16. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-18	01-01-18
კაპიტალი შპს ში	50100	50100
გაუნაწილებელი მოგება დაუფარავი ზარალი	-264333	-111614
გადაფასების რეზერვი	737 752	737 752
სხვა რეზერვები	185757	0
	599068	1046873

17. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლებმა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 2 218 471 ლარი, რომელიც მიღებულია საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან და სხვა არასაოპერაციო შემოსავლებისგან.

18. ხარჯები

საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2 371 191 ლარს.

19. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალეზადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. ამ შეფასების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება, რამაც თავის მხრივ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი.

საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.

შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები.

საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურისა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

20. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

თამაზ ჯანელიძე

22. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	82 744	77 391
სავაჭრო მოთხოვნები	360 107	262 376
გადახდილი ავანსები	0	425
მოკლევადიანი აქტივები	92 842	187 692
მზა პროდუქცია	79 202	172 292
სხვა	13 640	15 400
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0
გრძელვადიანი აქტივები	1 590 454	1 654 960
თვითღირებულების მოდელით		
გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	730	1 596
ძირითადი საშუალებები	1 589 724	1 653 364
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	2 126 148	2 182 844
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	259 544	230 503
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	7 404	-1 442
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1 149 924	1 267 544
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	0	10 000
სულ ვალდებულებები	1 416 871	1 506 605
საკუთარი კაპიტალი		

(212677520) შპს „უნივერსალი“
 სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	50 100	50 100
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-264 333	-111 614
გადაფასების რეზერვი	737 752	737 752
სხვა რეზერვები	185 757	0
სულ საკუთარი კაპიტალი	709 277	676 239
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 126 148	2 182 844

დირექტორი:

თამაზ ჯანელიძე

23. ანგარიშგება საქმიანობის შედეგების შესახებ

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარებში)

საქმიანობის შედეგები	2018
ნეტო ამონაგები	2 218 471
საქონლის გაყიდვიდან	2 218 471
მომსახურების გაწევიდან	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა.	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-1 856 719
საწყისი მარაგები	-187 692
მარაგების შესყიდვა	-1 761 870
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	92 842
საერთო მოგება	361 751
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-118 634
ცვეთა და ამორტიზაცია	-92 029
საპროცენტო შემოსავალი:	2 635
საპროცენტო ხარჯი :	-105 098
იჯარის ხარჯი	-8 250
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-193 079
სულ საოპერაციო ხარჯები	-514 456
საოპერაციო მოგება	-152 704
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-16
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-152 720
მოგების გადასახადი	0

მოგება/(ზარალი)	-152 720
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-152 720
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	676 238
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-152 719
კაპიტალის სხვა ცვლილებები	185 757
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	709 276

დირექტორი:

თამაზ ჯანელიძე